

# აჭარის ბარის ზონის ბუნებათსარგებლობა და გარემოს მდგრადი განვითარება

## ზურაბ სეფერთელაძე, ნინო რუხაძე

ელ-ფოსტა: [zurab.seperteladze@tsu.ge](mailto:zurab.seperteladze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

გარემოზე ადამიანის ზემოქმედება და ურთიერთქმედების ნორმალიზაცია უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოვლენებისა და პროცესების ერთიანი სისტემის იმგვარ შეთანაწყობას, რომელიც არ დაარღვევს არსებულ ეკოლოგიურ წონასწორობას. მდგრადი განვითარებით შესაძლებელია ბუნებრივი ლანდშაფტების სტაბილურობის, ფუნქციონირების, რესურსდამ-ზოგავი მექანიზმების (ტექნოლოგიების) მიღწევა, საბოლოოდ კი, მომსახურებისა და მართვის გარემოს შექმნა.

საკვლევ რეგიონში ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედება არსებითდ განპირობებულია რეკრეაციული, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საქმიანობასთან. დასახლებული (სელიტურული) ტერიტორიების ინტენსიურ ათვისებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, აბრაზია, წყალდიდობა) გააქტიურება.

აჭარის ზღვისპირა რაიონებში (ქობულეთი, ხელვაჩაური) სოფლის დასახლებები მეტწილად გორაკ-ბორცვებზეა განლაგებული თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით და ინფრასტრუქტურით. ტერიტორიების ათვისებამ გამოიწვია გორაკ-ბორცვების ფერდობების ბუნებრივი მცენარეულობის აგროკულტურებით ჩანაცვლება, საცხოვრებელ ადგილამდე მისასვლელი გზების გაყვანამ (ხშირ შემთხვევაში ამგები ქანებისა და ნიადაგ-გრუნტის გაუთვალისწინებით) ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანა, დაირღვა ადგილის სტაბილურობა და მდგრადობა, დაიმეწყრა გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, საშიშროება დაემუქრა ათეულობით სახცოვრებელ სახლს, საჭირო გახდა ფერდობების რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით გამაგრება, უარეს შემთხვევაში კი დაზარალებულთა ადგილსამყოფელის იძულებით შეცვლა

უშუალოდ სანაპირო ზოლში მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის მდ. ჭოროხზე კაშხლების მშენებლობით გამოწვეული (სოფ. ადლია მონაკვეთი) ნატანის შემცირება და ინერტული მასალის უკონტროლო ექსპლოატაცია პლაჟის ზონიდან.

მდგრადი განვითარების და გარემოზე ზემოქმედების შეფასებით შესაძლებელია:

- ადამიანის საარსებო სივრცის (გარემოს) გაუმჯობესება;
- ეკოსისტემური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა.